

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №124

2021 წ. 19 ნოემბერი

ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

(იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიასთან გაერთიანებული)

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახური- ლევან მიქავა

სსიპ ქონების მართვის სააგენტო-მარიამ კვერნაძე

შპს „თბილსერვის ჯგუფი“ - რომეო მიქაუტაძე

სხდომას ასევე ესწრებოდნენ მოქალაქეები:

ანა დოლიძე(პ/ნ 01009005937), ალექსანდრე რატიშვილი(პ/ნ 0102401395), ნინო წულაძე(პ/ნ 61001080130), მარიამ კუსიანი(პ/ნ 38001047079), მაკა ტოხიშვილი(პ/ნ 14001028349), ლაშა ანაკიძე (პ/ნ 42001039417), მიშიკო ირემაძე(პ/ნ 01901107448), ნათია მათიკაშვილი(პ/ნ 01027082621), თამარ კაციტაძე(პ/ნ 01025020297)

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - დავით უთმელიძე.

კომისიის წევრები: ოთარ გრიგოლია, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, ლევან დარახველიძე, ვაჟა ოთარაშვილი, ვახტანგ შაქარიშვილი..

კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომას თავმჯდომარეობდა დავით უთმელიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ №12-032132137-03)

2. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ" - ინფორმაცია.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილსერვის ჯგუფს“ შორის „თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

4. ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირი N33-ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1815 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.033) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე. №№12-03213141-03

5. „ქალაქ თბილისში, ლერწმის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1083 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.655) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე. №12-03213225-03

6. „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილი-3, IV მიკრორაიონსა და თბილისის ზღვის მიმართულების მიმავალი გზებისკვანძის მიმდებარედ (ნაკვეთი 004/001),ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.19.39.004.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5 000 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთისყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „არქ არქასთვის“ (ს/ნ404619711) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ N12-03213221-03

7. ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, უძოს III ჩიხი N2-ში (საკადასტრო კოდი: N81.01.06.466.01.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. №12-032130218-03

8. ქალაქ თბილისში, ე. ბეჟანიშვილის ქუჩა N23-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.11.027.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე №12-032129214-03

9. ქალაქ თბილისში, სამღერეთის ქუჩა N5-ში (ნაკვეთი 95/020, საკადასტრო კოდი: N01.12.14.095.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.№ 12-032129214-03

10. ქალაქ თბილისში, ელდარის ქუჩა N12-ში, კორპუს N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.026.027.01.013) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.“№12-032129214-03

11. ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N2, კორპუს N3, კორპუს N4 და კორპუს N5-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.002 და N01.16.09.001.003, N01.16.09.001.004; N01.16.09.001.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. № 12-032129840-03

12. ქალაქ თბილისში, შალვა ნუცუბიძის ფერდობის IV მიკრორაიონის კორპუსი N33-ში მდებარე 104.23 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.16.012.012.01.508) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. №12-032130218-03

13. ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N48-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.05.003.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. №12-032131924-03

14. ქალაქ თბილისში, ორხევის დასახლებაში (საკადასტრო კოდი: N01.19.16.002.174.01.505) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “№12-032130614-03

15. ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10ა, კორპუს N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.059.01.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე №12-032130614-03

16. ქალაქ თბილისში, გულამაყრის ქუჩა N2ა-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.07.004.004) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

№12-032131329-03

17. ქალაქ თბილისში, ჯავახეთის მე-2 შესახვევი N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.008.064) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. № 12-032131329-03

18. ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N56-62-ის მიმდებარედ არსებული 2658 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.003.027) 30 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ბორის მარსაგიშვილისთვის (პ/ნ: 01008005704) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-03213028

19. ქ. თბილისში, ლეონიძის ქუჩა N7-ის მიმდებარედ არსებული 40 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.05.067.013) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ფასანაური 2017“-ისთვის (ს/კ: 405241493) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

№12-03213028-03

20. ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირი N16-18-ის მიმდებარედ არსებული 31 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ: 01.15.05.010.033) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „აია +“ისთვის (ს/კ: 202215913) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. №12-032131330-03

21. ქალაქ თბილისში, ვალენტინ თოფურიძის II შესახვევი N1-ში მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.10.10.020.170.01.01.050) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „შპს შვილებისათვის“ (ს/კ: 401958388) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე. №12-032131330-03

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის № 71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ

მომხსენებელი-გაიოზ თალაკვაძე.

გაიოზ თალაკვაძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსულობების გათვალისწინებით, რომლის თანახმად იზრდება ქონების გადასახდიდან მისაღები შემოსავლები - 24 843,9 ათასი ლარით და არაფინანსური აქტივების კლებიდან (არაწარმოებული აქტივები (მიწა)) მისაღები შემოსავლები - 17 361,0 ათასი ლარის ოდენობით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 42 204,9 ათასი ლარით და შეადგენს 1 270 531,8 ათას ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების და რაიონის გამგეობების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების

შესახებ წინადადებები. აღნიშნულისა და დამატებითი რესურსის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის:

იზრდება საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდიის (კოდი 01 02 05) – 34 000,0 ათასი ლარით, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) პროგრამის ასიგნება - 10 500,0 ათასი ლარი, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) – 166,9 ათასი ლარი, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (კოდი 06 01 06) ქვეპროგრამის ასიგნება - 200,0 ათასი ლარი, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 07) – 900,0 ათასი ლარი, ტრანსპლანტაცია (კოდი 06 01 13) – 2 200,0 ათასი ლარი, კომუნალური სუბსიდირება (კოდი 06 02 01) – 300,0 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი 06 02 02) – 965,0 ათასი ლარი, სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი 06 02 09) – 500,0 ათასი ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 15 07) – 0,4 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 16 07) – 37,5 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 16 09) – 30,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 16 14) – 15,4 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 16 16) – 79,0 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება გლდანის რაიონში (კოდი 06 02 17 07) – 5,3 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 06 02 18 07) – 394,7 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 18 08) – 453,2 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 06 02 18 09) – 358,4 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 18 10) – 407,1 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 18 11) – 172,9 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 18 12) – 300,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) – 477,2 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 18 14) – 410,9 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 18 15) – 399,0 ათასი ლარი, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 18 16) – 392,9 ათასი ლარი, სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება (კოდი 06 02 22) – 150,0 ათასი ლარი, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს (კოდი 10 21) პროგრამის ასიგნება - 243,8 ათასი ლარი, სარეზერვო ფონდი (კოდი 10 22) – 500,0 ათასი ლარით.

მცირდება გზების მოვლა-შეკეთება ნაძალადევის რაიონში (კოდი 01 01 09) ქვეპროგრამის ასიგნება - 100,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება დიდუბის რაიონში (კოდი 01 01 10) – 94,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 01 01 11) – 130,0 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება საბურთალოს რაიონში (კოდი 01 01 13) – 83,7 ათასი ლარი, გზების მოვლა-შეკეთება სამგორის რაიონში (კოდი 01 01 15) – 125,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) – 138,8 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) – 146,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 02 09 15) – 164,3 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 02 09 18) – 20,0 ათასი ლარი, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი 04 03) პროგრამის ასიგნება - 27,9 ათასი ლარით, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 04 04) – 20,0 ათასი ლარი, შიდა აუდიტორული სისტემის გამართვა (კოდი 04 07 02) - ქვეპროგრამის ასიგნება 15,0 ათასი ლარი, სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულების განსაზღვრის მომსახურება (კოდი 04 07 03) – 10,0 ათასი ლარი, საფინანსო სისტემის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 04 07 05) – 284,2 ათასი ლარი, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) პროგრამის ასიგნება - 109,0 ათასი ლარი, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი 04 09) – 10,0 ათასი ლარი, ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება (კოდი 04 12)

- 266,5 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) ქვეპროგრამის ასიგნება - 50,0 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა სამგორის რაიონში (კოდი 05 0115) - 25,6 ათასი ლარი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 15) 100,2 ათასი ლარი, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება (კოდი 06 01 05) - 1 400,0 ათასი ლარი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება (კოდი 06 02 04) - 20,0 ათასი ლარი, უფასო სწავლება სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში (კოდი 06 02 06 03) - 167,0 ათასი ლარი, სერვის ცენტრებში ბარათების დამზადება (ინიციალიზაცია) (კოდი 06 02 06 04) - 110,0 ათასი ლარი, საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები“ მგზავრთა გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება (კოდი 06 02 11) - 3 400,0 ათასი ლარით, უფასო სასადილოებით მომსახურება ვაკის რაიონში (კოდი 06 02 14 10) - 2,1 ათასი ლარი, უფასო სასადილოებით მომსახურება საბურთალოს რაიონში (კოდი 06 02 14 11) - 52,0 ათასი ლარი, უფასო სასადილოებით მომსახურება ისნის რაიონში (კოდი 06 02 14 12) - 38,2 ათასი ლარი, უფასო სასადილოებით მომსახურება კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 14 14) - 12,9 ათასი ლარი, უფასო სასადილოებით მომსახურება მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 14 15) - 256,9 ათასი ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 15 10) - 7,0 ათასი ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 15 11) - 7,0 ათასი ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 06 02 15 14) - 7,7 ათასი ლარი, გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 15 15) - 5,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ნაძალადევის რაიონში (კოდი 06 02 16 08) - 55,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ვაკის რაიონში (კოდი 06 02 16 11) - 28,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ისნის რაიონში (კოდი 06 02 16 13) - 34,0 ათასი ლარი, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები კრწანისის რაიონში (კოდი 06 02 16 15) - 85,0 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება ჩუღურეთის რაიონში (კოდი 06 02 17 10) - 7,1 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება ვაკის რაიონში (კოდი 06 02 17 11) - 6,0 ათასი ლარი, ომის ვეტერანების დახმარება სამგორის რაიონში (კოდი 06 02 17 14) - 3,2 ათასი ლარი, წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება მთაწმინდის რაიონში (კოდი 06 02 20 02) - 45,0 ათასი ლარი, წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება სამგორის რაიონში (კოდი 06 02 20 04) - 4,5 ათასი ლარი, შინმოვლის თანადაფინანსება (კოდი 06 02 26) - 3,0 ათასი ლარით, სპორტული დაწესებულებების მატერიალურტექნიკური ბაზის გაუმჯობესება (კოდი 08 06 04) - 240,3 ათასი ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 08 11 03) - 30,0 ათასი ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 08 11 04) - 70,0 ათასი ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 08 11 05) - 88,7 ათასი ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 08 11 07) - 15,0 ათასი ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 08 11 08) - 72,5 ათასი ლარი, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 08 11 09) - 75,9 ათასი ლარი, გლდანის რაიონის გამგეობა (კოდი 10 27) პროგრამის ასიგნება - 120,0 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 42) - 722,9 ათასი ლარი, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 46) - 318,6 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა (კოდი 10 47) - 982,8 ათასი ლარი, თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 48) - 1 941,1 ათასი ლარი.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ინფორმაცია "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ".

გაიოზ თალაკვაძემ კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების თაობაზე"

მისი მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების კვარტალური მიმოხილვა მომზადებულია სტრუქტურული ერთეულებიდან, რაიონის გამგეობებიდან და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებიდან მოწოდებული ინფორმაციის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახადელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან. ასევე, ინფორმაციას დასახული პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერის, სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფონდებიდან გამოყოფილი სახსრების შესახებ.

2021 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 70,353.2 ათასი ლარი.

2021 წლის 9 თვეში ნაშთის გამოყენებამ შეადგინა 83,227.5 ათასი ლარი (მათ შორის მეოთხე კვარტლიდან ფულადი სახსრების მოსესხება ნაშთის ცვლილების წლიური ოდენობის შეუცვლელად - 13,793.3 ათასი ლარი), ხოლო ფულადი სახსრების დაგროვებამ შეადგინა 87,501.2 ათასი ლარი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 9 თვის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 880,785.8 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 876,719.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 99.5%.

შემოსავლები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 9 თვის გეგმა 836,448.0 ათასი ლარი, ფაქტიურად 812,360.1 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 97.1% და მთლიანი შემოსულობების - 92.7% შეადგინა.

გადასახადების სახით ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 563,113.9 ათასი ლარი და 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (ფაქტი - 417,119.1 ათასი ლარი) მიმდინარე პერიოდში 145,994.8 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული¹, მათ შორის:

ქონების გადასახადიდან საანგარიშო პერიოდში მიღებულია 178,049.7 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 175,290.3 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) - 1,278.8 ათასი ლარი, ხოლო მიწის გადასახადიდან - 1,480.6 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2020 წლის 9 თვის ფაქტი - 110,662.6 ათასი ლარი) შედარებით 67,387.1 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად საწარმოთა ქონების გადასახადზე (გარდა მიწისა) მოდის² (2020 წლის 9 თვეში მიღებულია 108,205.3 ათასი ლარი).

დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებულია 385,064.2 ათასი ლარი. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (2020 წლის 9 თვის ფაქტი - 306,456.6 ათასი ლარი) შედარებით 78,607.6 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული.

გრანტები

საანგარიშო პერიოდში გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 92,662.1 ათასი ლარი, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 33.0 ათასი ლარი (2019 წლის 9 დეკემბერს საქართველოს მთავრობასა და აზიის განვითარების ბანკს შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების N6024-GEO ფარგლებში, „საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“ განხორციელებისთვის, ინდივიდუალური კონსულტანტების შრომის ანაზღაურების (გადასახადების გარეშე) დაფარვა დონორი ორგანიზაციის მიერ); სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები - 92,629.1 ათასი ლარი, კერძოდ: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 344.7 ათასი ლარი (გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის), სპეციალური ტრანსფერი (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი) – 70,000.0 ათასი ლარი, ხოლო სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 22,284.4 ათასი ლარი (თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურების (II ფაზა) ფარგლებში ავტობუსების და მასთან დაკავშირებული სერვისის შესაძენად დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად, რუსთაველის გამზირიდან მთაწმინდის მიმართულებით საბაგირო გზის მშენებლობის მიზნით, მშენებლობისათვის აუცილებელი საშენი მასალების შესყიდვისა და მომსახურების საავანსო ვალდებულებების ნაწილი).

სხვა შემოსავლები

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლებისათვის განსაზღვრული 146,207.1 ათასი ლარის ფაქტიურმა შესრულებამ 156,584.1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 107.1%-ია. წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან (9 თვის ფაქტი – 107,739.2 ათასი ლარი) შედარებით 48,844.9 ათასი ლარით მეტი შემოსავალია მიღებული, რაც ძირითადად სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელზე და სხვა მართვის უფლების გადაცემიდან მიღებულ შემოსავლებზე მოდის.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიმდინარე პერიოდში ჩარიცხულია 64,355.6 ათასი ლარის შემოსავალი. მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან მიღებულია 6,825.6 ათასი ლარი, მატერიალური მარაგების გაყიდვიდან - 295.8 ათასი ლარი და არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 57,234.2 ათასი ლარი.

ფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლების გეგმა საანგარიშო პერიოდში განსაზღვრულია 63.2 ათასი ლარით.

2021 წლის 9 თვეში გადასახდელების შესრულების 82%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (85%) 3%-ით ნაკლებია, ხოლო თანხობრივად (2020 წლის 9 თვესთან შედარებით) დახარჯულია 85,833.1 ათასი ლარით მეტი.

2021 წლის ბიუჯეტის გადასახდელები

გადასახდელების საანგარიშო პერიოდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 964,013.3 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 789,218.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 81.9%-ია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით საანგარიშო პერიოდში დაფინანსებული პრიორიტეტები:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 199,516.5 ათასი ლარით, რაც გეგმის (238,461.3 ათასი ლარი) 83.7%-ია;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 133,906.8 ათასი ლარით, რაც გეგმის (165,841.9 ათასი ლარი) 80.7%-ია;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 99,214.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (122,811.1 ათასი ლარი) 80.8%-ია;
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 5,275.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (6,625.6 ათასი ლარი) 79.6%-ია;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 27,045.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (28,152.9 ათასი ლარი) 96.1%-ია;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 105,579.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (126,159.7 ათასი ლარი) 83.7%-ია;
- განათლება - 122,228.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (145,305.0 ათასი ლარი) 84.1%-ია;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 21,817.6 ათასი ლარით, რაც გეგმის (40,773.0 ათასი ლარი) 53.5%-ია;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 2,819.4 ათასი ლარით, რაც გეგმის (3,855.6 ათასი ლარი) 73.1%-ია;
- ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 71,813.7 ათასი ლარით, რაც გეგმის (86,027.2 ათასი ლარი) 83.5%-ია.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს ინფორმაცია "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების თაობაზე"

მოისმინეს: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილსერვის ჯგუფს“ შორის „თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულების გაფორმებაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი- რომეო მიქაურაძე.

თანხმობისათვის წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და შპს „თბილსერვის ჯგუფს“ შორის „თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტთან დაკავშირებით“ ქვესასესხო ხელშეკრულების“ პროექტი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 20 ოქტომბრის #21.1465.1624 განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად, ხელშეკრულების გაფორმებაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (EBRD) შორის „პროექტის მხარდაჭერის ხელშეკრულება“-ის და შპს „თბილსერვის ჯგუფ“-სა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის (EBRD) „პროექტის ხელშეკრულების“ გაფორმებასთან დაკავშირებით, ქვესასესხო ხელშეკრულება ითვალისწინებს 9 600 000 ევროს სესხის აღებას. ხელშეკრულება არის 10 წლიანი და მოიცავს არა მხოლოდ ქუჩების დასუფთავებას და სადრენაჟე სისტემის გაუმჯობესებას, არამედ სხვადასხვა მიმართულებით სპეცტექნიკის შექმნას. სესხის ფარგლებში მოხდება „თბილსერვის ჯგუფის“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება, ნაგავშიდი სპეცტექნიკის ახლით ჩანაცვლება.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკითხის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირი N33-ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1815 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.033) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

მომხსენებელი-მარიამ კვერნაძე.

მარიამ კვერნაძის მოხსენებით, შესათანხმებლად წარმოდგენილია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 8 ნოემბრის N21.1530.1715 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ თბილისში, მარშალ გელოვანის გამზირი N33-ში 1815 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.033) გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით 457 000 (ოთხას ორმოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარის ოდენობით, პრივატიზებაზე, სააქციო საზოგადოება „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ (ს/ნ: 202161098) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქი თბილისში, ბელიაშვილის ქუჩა №143-ის მიმდებარედ 1087 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.02.003.155) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, საკრებულოს განკარგულების პროექტი.

საპრივატიზებო პირობად განსაზღვრულია ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, წინამდებარე განკარგულება ძალაში შევა იმ პირობით, რომ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 8 ნოემბრის N21.1530.1715 განკარგულებით დამტკიცებული დანართით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმების დროისათვის, სააქციო საზოგადოება „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ (ს/ნ: 202161098) უზრუნველყოფს N01.13.02.003.155 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების გათავისუფლებას მასზე რეგისტრირებული ყველა შეზღუდვა/ვალდებულების უფლებისგან და აღნიშნულ მიწის ნაკვეთს მოიყვანს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობაში.

ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ N01.10.10.025.033 საკადასტრო ერთეულზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2012 წლის 10 თებერვლის N882012056510 სარეგისტრაციო განცხადებით რეგისტრირებული ვალდებულება (საგანი: სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ 4/5 ნაწილზე ქონების ნატურით გადაცემისას აღსრულების საფასური გადაიხდევინება სახელმწიფოს მიერ ამ ქონების შემდგომი რეალიზაციის შემთხვევაში და შეადგენს ამონაგები თანხის 7%-ს) ამ განკარგულების მიზნებისთვის, არ მიიჩნევა ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის უფლებრივ ან/და ნივთობრივ ნაკლად.“

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ლერწმის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1083 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.655) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

მომხსენებელი-მარიამ კვერნაძე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობისათვის წარედგინება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 17 ნოემბრის N21.1567.1747 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ლერწმის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე 1083 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.14.003.655) გაცვლის ფორმით, საპრივატიზებო საფასურით 80 000 (ოთხმოცი ათასი) ლარის ოდენობით, პრივატიზებაზე, ვლადიმერ კალანდაძის (პ/ნ 01008019319), მარიამ გიორგაძის (პ/ნ 01021000670) და მიხეილ კალანდაძის (პ/ნ 01008013435) თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ნინო ჟვანიას ქუჩა №57-ში არსებული 523 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.12.003.118) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, საკრებულოს განკარგულების პროექტი. საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობა 80 000 ლარი.

მომხრე-7

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: „ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილი-3, IV მიკრორაიონსა და თბილისის ზღვის მიმართულების მიმავალი გზების კვანძის მიმდებარედ (ნაკვეთი 004/001), ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.19.39.004.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 5 000 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთისყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამომხატვაში გამარჯვებული შპს „არქ არეასთვის“ (ს/ნ404619711) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე

მომხსენებელი-მარიამ კვერნაძე.

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს დაევალა, რომ უზრუნველყოს ე. წ. ყოფილი კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის - ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული პირებისათვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საბინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ.

